



ბუნებრივი კატაკლიზმები და მათი ეკოლოგიური და ეკონომიკური გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე

ბერძენიშვილი ნ., ლეონაძე ნ.

ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია: რეკრეაციისა და დასვენების რაიონებში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურისტის პირად უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და ეკონომიკურ ინტერესებს. ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის ინტენსიური დაბინძურება და მრეწველობისა და ტრანსპორტის გადაჭარბებული ხმაური შეუთავსებელია დასვენებასა და კომფორტთან. სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი დამაბინძურებელი ნივთიერება ამცირებს ლანდშაფტის რეკრეაციულ მიმზიდველობას. დასაშვებზე მაღალი დაბინძურების შემთხვევაში საერთოდ მიუღებელია ლანდშაფტის გამოყენება რეკრეაციული მიზნით. თუ ასეთ რაიონებში კარგად არის შენარჩუნებული მცენარეული საფარი, ტურისტებს ექმნებათ ზედაპირული შთაბეჭდილება სრულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, მაგრამ ურბანიზებული რაიონების მიმდებარე ეკოსისტემა შეიცავს მაღალი რაოდენობით მტვერს, მძიმე მეტალებს, ტოქსიკურ გაზებს. ჭის წყალი მაღალი ალბათობით შეიცავს ბარიუმის ქლორიდს, ხოლო მცენარეთა ფესვები შესაძლოა შეიცავდნენ მიკროელემენტებს. ეკოლოგიურ უსაფრთხოებას აქვს რეგიონული (მსოფლიოსთან მიმართებაში) ასპექტები, რის გამოც მისი უზრუნველყოფის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებული ყველა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის პრობლემებს. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნები ცდილობენ შეიმუშაონ სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთი საკუთარი სისტემა. ამასთან ერთად, მთელ მსოფლიოში, შემუშავებულია ბუნებრივი ანომალიური მოვლენების შესწავლისა და პროგნოზირების ერთიანი სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც კოორდინირებას გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნების დაცვის ინსტიტუტი.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური პრობლემები, კატაკლიზმები, კატასტროფა, უსაფრთხოება, ტურიზმის ინდუსტრია, ანთროპოგენული ფაქტორები.

რეკრეაციისა და დასვენების რაიონებში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურისტის პირად უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და ეკონომიკურ ინტერესებს. ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის ინტენსიური დაბინძურება და მრეწველობისა და ტრანსპორტის გადაჭარბებული ხმაური შეუთავსებელია დასვენებასა და კომფორტთან. სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი დამაბინძურებელი ნივთიერება ამცირებს ლანდშაფტის რეკრეაციულ მიმზიდველობას. დასაშვებზე მაღალი დაბინძურების შემთხვევაში საერთოდ მიუღებელია ლანდშაფტის გამოყენება რეკრეაციული მიზნით. თუ ასეთ რაიონებში კარგად არის შენარჩუნებული მცენარეული საფარი, ტურისტებს ექმნებათ ზედაპირული შთაბეჭდილება სრულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, მაგრამ ურბანი-

ზებული რაიონების მიმდებარე ეკოსისტემა შეიცავს მაღალი რაოდენობით მტვერს, მძიმე მეტალებს, ტოქსიკურ გაზებს. ჭის წყალი მაღალი ალბათობით შეიცავს ბარიუმის ქლორიდს, ხოლო მცენარეთა ფესვები შესაძლოა შეიცავდნენ მიკროელემენტებს. ეკოლოგიურ უსაფრთხოებას აქვს რეგიონული (მსოფლიოსთან მიმართებაში) ასპექტები, რის გამოც მისი უზრუნველყოფის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

თანამედროვე მსოფლიო ნაკლებ სტაბილურ ურთიერთკავშირშია, რაც ხშირად აისახება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე: ტრანსპორტი, ფინანსები, საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინდუსტრია. ეს ურთიერთკავშირი განაპირობებს იმას, რომ კრიზისების პროლიფერაციის მიზეზები კომბინირებულია. კრიზისები და კატასტროფული მოვლენები განსაკუთრებით გახშირდა 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე. წყალდიდობების, ქარიშხლების, მიწისძვრების და სხვა ეგზოდინამიკური პროცესების შედეგად რიგმა ქვეყნებმა აურაცხელი ეკონომიკური და მორალური ზარალი განიცადეს. სტატისტიკური გაანგარიშებებით დადგენილია, რომ სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი მსოფლიოში მილიარდობით ამერიკული დოლარით, ხოლო ადამიანთა მსხვერპლი ათეული მილიონებით განისაზღვრება.


კლიმატის ცვლილების ამჟამინდელი ფენომენი, რომელსაც უკავშირდება გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმები, საცნაური გახდა წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან, ამ პერიოდს უკავშირდება მეცნიერების მიერ ვარაუდის დადასტურება პლანეტის მასშტაბით საშუალო ტემპერატურის აწევასა და ნალექების მოჭარბებულ რაოდენობაზე, რაც მრავალი უკიდურესად უარყოფითი ფორმით ვლინდება. თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებულია ამ მოვლენების სისწრაფე და მასშტაბები. კლიმატის შეცვლის შედეგად იცვლება ბუნება, ეკოსისტემები, რომელთაგან მრავალი ვერ ასწრებს ადაპტაციას და გადავარდება. იზრდება ადამიანთა დაავადების რისკი, მათ შორის ეპიდემიების გავრცელები-საც. თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებულია ამ მოვლენების სისწრაფე და მასშტაბები.

თანამედროვე კლიმატის ცვლილება, ასევე, უკავშირდება ადამიანის საწარმოო საქმიანობას და ინტენსიურ ინდუსტრიალიზაციას. ინდუსტრიული საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოყოფილი აირები ცვლიან ატმოსფეროს შემადგენლობას და ხელს უშლიან დედამიწის ზედაპირიდან სითბოს დაკარგვას. ამ აირებს „სათბურის გაზები“ ეწოდებათ. მათ მიერ გამოწვეული მავნე შედეგები სულ უფრო მეტ მრავალფეროვნებასა და ინტენსივობას ავლენს წლიდან წლამდე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და სასწრაფოს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

XXI საუკუნეში გახშირებული კრიზისების (ძირითადად გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები და ტერორიზმი) გამო ტურისტები და ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები მიეჩვივნენ ამ სფეროს მაღალ მოქნილობას: ყოველი ახალი კრიზისის დროს, ქვეყანაში პრიორიტეტული ხდება ახალი ტურისტული მიმართულება. კრიზისი უფრო ადვილად გადააქვთ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს, ვიდრე განვითარებულს. განვითარებადი ქვეყნების დინამიური ტურისტული ბაზარი ადვილად მართავს კრიზისულ სიტუაციას და უბრუნდება კრიზისისწინა მდგომარეობას.


XXI საუკუნის მასშტაბური კატაკლიზმები გარკვეულ წილად აისახა წამყვან ტურისტულ ქვეყნებში ტურისტების შემოსვლაზე და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე: მასობრივი ინფორმაციის წყაროებმა „საუკუნის წყალდიდობა უწოდეს“ 2002 წლის ზაფხულის წყალდიდობას ევროპაში. წყალდიდობამ მოიცვა ევროპის 13 ქვეყანა. ერთკვირიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა ჩეხეთი, სლოვაკეთი,

გერმანია და ავსტრია. დაილუპა 230 ადამიანზე მეტი. ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა დაახლოებით 17,4 მლარდი ევრო. ამ ქვეყნებიდან ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა არის გერმანია, სადაც მომდევნო 2003 წელს წინა წელთან შედარებით ტურისტების ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 2,3%-ით (999,430) მეტი.



ნახ. 1. ტურისტული ნაკადების შემოსვლა 2016 წ. გერმანია
წყარო: <http://knoema.ru/atlas/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 05. 2018

2002-2003 წლებში გერმანიაში ტურისტული ნაკადების შემცირება აისახა ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალზე: თუ მომდევნო 2003-2004 წლებში შემოსავლის ზრდა დაფიქსირდა 20,8 %, 2002-2003 წლებში შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ 12,7 5%-ით.



ნახ. 2. შემოსავალი ტურიზმიდან 2014 წ - გერმანია
წყარო: <http://knoema.ru/atlas/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 05. 2018

ასევე, ძალიან ძვირი უჯდება კაცობრიობას ბუნებრივი „სიურპრიზები“. მაგალითად, 2010 წელს ისლანდიაში ვულკანის ამოფრქვევას ადამიანის მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია, მაგრამ მაინც შესულია ამ საუკუნის ყველაზე მასშტაბურ სტიქიურ უბედურებათა რიცხვში. ეკონომიკური შედეგები იყო საკმაოდ სერიოზული, რადგან გადაიღო 100 000-ზე მეტი ავიარეისი და ათეულობით აეროპორტი დაიხურა. ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა დაახლოებით \$7,3 მილიარდი, მხოლოდ ავიაკომპანიებისთვის მიყენებული ზარალი იყო 1,7 მილიარდი ევრო. ტურისტული ინდუსტრიისა და ავიაგადაზიდვების ზარალმა აეროპორტების დახურვიდან პირველი სამი დღის განმავლობაში შეადგინა 1 მლრდი ევრო, ევროპის კონტინენტის გავლით გაუქმდა 60 ათასზე მეტი რეისი, კომპანიე-

ბი იძულებული გახდნენ სასტუმროებში მგზავრების განთავსების ხარჯები თვითონ დაეფარათ. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური დირექტორის განცხადებით, კრიზისმა მოიცვა მსოფლიო ავიაციის 29%, მის „ტყვეობაში“ ყოველდღიურად აღმოჩნდა 1.2 მლნ მგზავრი.


ევროპის უმსხვილესმა ტუროპერატორმა - Tul Travel-მა თავის საიტზე გამოაქვეყნა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მიღებულ ზარალი: ყოველდღიურმა დანაკარგმა შეადგინა 5-6 მილიონი ფუნტი სტერლინგი. ამოფრქვევის შედეგად ფერფლმა დახურა ევროპის ქვეყნების საჰაერო სივრცე. „საჰაერო კრიზისმა“ მოიცვა მთელი ევროპის ტურისტული ინდუსტრია. იძულებული გახდნენ, გაეუქმებინათ 175 ათასი ტური და გაეყვანათ 180 ათასი მოგზაური, რომლებიც სხვადასხვა აეროპორტებში ელოდებოდნენ რეისებს. შედეგად, კომპანიებმა დაკარგეს 90 მლნ. ფუნტი სტერლინგი (139 მლნ. აშშ დოლარი). ტუროპერატორების ზარალი დაბეგვრის გარეშე, სამი თვის განმავლობაში გაიზარდა 333 მლნ. ფუნტი სტერლინგიდან 367 მილიონამდე.

2005 წლის ქარიშხალი „კატრინა“ გახდა აშშ-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი სტიქიური უბედურება. დაზიანდა და დაინგრა 1,2 მლ-ნზე მეტი სახლი, დაიტბორა ახალი ორლენი და მისი მიმდებარე ტერიტორია. 1800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 600000-ზე მეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი. ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 108 მლ-დი აშშ დოლარი.


2005 წლის ქარიშხალმა გავლენა იქონია ტურისტების შემოსვლაზე: მომდევნო წელს მხოლოდ 1,771,000 (+3,6%) ტურისტი ჩამოვიდა, თუ 2004 - 2005 წლებში ტურისტული ნაკადების ზრდა იყო 6,7. რაც შესაბამისად აისახა ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე.

2014 წლის ქარიშხალი „სენდის“ დროს ნგრევა არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორც „კატრინას“ შემთხვევაში, მაგრამ ეს ქარიშხალი შეეხო არა მარტო შტატებს, არამედ კარიბის რეგიონის შვიდ ქვეყანას. დაიღუპა 132 ადამიანი, დაინგრა და დაზიანდა 305 000 სახლი. ეკონომიკური ზარალი იყო დაახლოებით 50 მილიარდი აშშ დოლარი.

აშშ-ს ტურიზმში მნიშვნელოვანი რეცესია შეინიშნებოდა 2001 წლის ტერორისტული აქტის შემდეგ 2001-2003 წლებში, მაგრამ მომდევნო 2004 წელს ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 11,8%-ით (თითქმის 5 მილიონით მეტი) 2003 წელთან შედარებით. 2001-2003 წლებში საერთოდ შემცირდა ტურისტების რაოდენობა 5,000,000-ით.



ნახ. 3. ტურისტების შემოსვლა აშშ 2014 წ.



ნახ. 4. შემოსავლები ტურიზმიდან აშშ 2014 წ.

წყარო: <http://knoema.ru/atlas/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 05. 2016

2004 წლის მიწისძვრა და ცუნამი ინდოეთის ოკეანეში შეეხო 15 ქვეყანას და დაიღუპა 250 ათასზე მეტი ადამიანი, (მათ შორის ტურისტები). დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი. რყევა დაფიქსირდა ინდონეზიის სანაპიროსთან, ამიტომ ის ყველაზე მეტად დაზიანდა. აგრეთვე ზიანი მიაღწა ინდოეთს, შრი-ლანკას, ტაილანდს, მალდივებს. ეკონომიკური ზარალი არ დაფიქსირებულა ისეთი მასშტაბის, როგორც იაპონიაში, რადგან სტიქია შეეხო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს და ვერ მოხერხდა მატერიალური ზარალის აღრიცხვა, ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა დაახლოებით 34 მილიარდი აშშ დოლარი.

2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, თბილისში 19 ადამიანი გარდაიცვალა, განადგურდა თბილისის ზოოლოგიური პარკი და საბავშვო ქალაქი მზიური, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ვაკის დასახლებაში, ვაკე-საბურთალოს ახალი გზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე. წყალმა მთლიანად დატბორა ზოოპარკის ტერიტორია, რამაც ცხოველების გაქცევა გამოიწვია. თბილისის ქუჩებში 5 ლომი, 6 ვეფხვი, 6 დათვი და 13 მგელი აღმოჩნდა, კამერებმა გმირთა მოედანზე ბეჭემოთი დააფიქსირეს. კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე მტკვარიც. 13-14 ივნისს ღამის საათებში უხვი ატმოსფერული ნალექი მოვიდა, რამაც დინამიკაში მოიყვანა მეწყერული პროცესები.

ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად სენსიტიურ უბანს წარმოადგენს, მისი ამგები ქანები ეროზიული და მეწყერული პროცესების მიმართ ადვილად დამყოლნი არიან. ამას ემატება რელიეფის დიდი ენერგეტიკული პოტენციალი. ეს ფერდობები დიდი დახრილობით ხასიათდება.

ერთ-ერთი, ყველაზე დიდი მეწყერის ფართობი 32 ჰექტარია. ანუ 32 ჰექტარი იყო მთა, რაც მოწყდა, წყალგამყოფიდან, თხემური ნაიწლიდან მდინარე ვერეს მარჯვენა ფერდობზე. მეწყერის მოწყვეტიდან მდინარე ვერეს შესართავამდე მანძილი 3,8 კილომეტრია. მეწყერმა ჯერ ერთი კილომეტრი გაიარა მეწყერის სახით. ეს 1 კმ არის წყნეთი-ახალდაბის გზა. ამის შემდეგ მეწყერი გადავიდა ღვარცოფულ, გაწყლოვანებულ ნაკადში და დიდი ენერგიით დაეშვა ფერდობზე. ამ ხევს სამი შენაკადი აქვს კიდევ - ერთი წყნეთიდან და ორიც სოფელ ახალდაბის ხევებია. სწორედ ამ ოთხი ხევის წყალქვიანი, ღვარცოფული მასა ჩავიდა მდინარე ვერეს ხეობაში. ძალიან მოკლე პერიოდით, შეიძლება ნახევარი წუთით ან ერთი წუთით ამ ძლიერმა ნაკადმა დაჯახნა მდინარე ვერე და გადაკეტა, სულ 2-3 მეტრით თუ მოიმატა ამ დროს წყალმა.

ისმის ლოგიკური კითხვა: იყო მხოლოდ ერთი ძირითადი კერა თუ სხვადასხვა პროცესი გააქტიურდა? ეს ერთი მეწყერი იყო მთავარი, მაგრამ ამის გარდა მდინარე ვერეს აუზში 22-მდე შენაკადში განვითარდა ღვარცოფული პროცესები. ვერეს ძალიან ბევრი შენაკადი აქვს და მათგან ყველა ღვარცოფ-ტრანსფორმირებადი, ღვარცოფული მდინარეები და ხეობებია. ამ მდინარეების და ხეობების ფერდობები დამეწყრილია, ეს მეწყრები კი ვერეს კალაპოტში ჩავიდა. ატმოსფერული ნალექის, წყლის ნაკადმა მოიყვანა დინამიკაში ეს პროცესები და საბოლოოდ ეს ყველაფერი მდინარე ვერეს შეუერთდა. 13-14 ივნისს ერთდროულად განვითარდა 8 გეოლოგიური თუ ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენა: კლდეზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, მდინარეების გვერდითი ეროზია, სიღრმითი ეროზია, უხვი ატმოსფერული ნალექი წვიმის სახით, წყალმოვარდნა და დატბორვა. ამ რვა პროცესმა ერთდროულად იმუშავა. შედეგად არ დააყოვნა და ტურისტული ნაკადების შემოსვლა ძალიან შეფერხდა, რაც უარყოფითად აისახა დედაქალაქის იმიჯსა და ფინანსებზე.

ტყის ხანძარი ჩნდება ბუნებრივი და ანთროპოგენური მიზეზებით. ბუნებრივი მიზეზებია – ელვა და გვალვა; ანთროპოგენური კი – ადამიანის დაუფიქრებელი ქმედება. როდესაც ტყეში ხანძარი ჩნდება, მისი გამწვავება ქარს, ფერდობის დახრილობას ან ადვილად აალებად მასალას (მაგალითად, გამხმარ, გამომშრალ მცენარეებს) შეუძლია. სიტუაცია მაშინ უარსდება, თუ ეს სამი ფაქტორი ერთმანეთს ემთხვევა. ამის გამო ათასობით ჰექტარი ტყეც კი შეიძლება გადაიწვას. 2017 წლის აგვისტოსთვის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით 30-მდე ხანძარი დაფიქსირდა. მათ შორის კი ყველაზე ძლიერი 20 აგვისტოს ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა. ხანძრის კერა 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გადამწვარი ტყის ფართობზე – 2014-2017 წელს აღდგენილ ტერიტორიებსა და 2008 წლის ხანძარს გადარჩენილი ტყის მასივს შორის არსებულ ფართობზე წარმოიშვა. ცეცხლის სწრაფად გავრცელება ძლიერმა ქარმა, რთულმა რელიეფურმა პირობებმა და ტერიტორიაზე არსებულმა ნახანძრალი მცენარეების, ბუჩქებისა და ბალახის სწრაფმა წვამ განაპირობა. ხანძრის შედეგად 100 ჰექტარზე მეტი ფართობის საფარი მთლიანად განადგურდა.

2008 წელს რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების დროს რფ-ის ჩამოგდებული ნაღებმა ცეცხლი ბორჯომის ხეობის ტყეში გააჩინა. ხანძრამა მოიცვა 950.9 ჰექტარი მიწის ფართობი და 250 ჰექტარი ტყის მასივი სრულიად განადგურდა. აგვისტოს ცხელ დღეებში საქართველოს გაცილებით რთული საკითხები ჰქონდა მოსაგვარებელი, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის, თურქეთისა და უკრაინის ავიაციის დახმარებით, ხანძრის ლიკვიდაცია შედარებით დროულად მოხდა.

ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ომის შედეგად, განადგურდა ათასი ჰექტარი ტყის და სასიცოცხლო ფუნქცია შეუწყდა 150 000 კვ. მ-ზე მდგომ ხეს. ხანძრის შედეგად მცენარეულმა საფარმა დაკარგა ეკოლოგიური ფუნქცია და მატერიალური ღირებულება. ფაქტობრივად, განადგურდა კავკასიის ენდემური და რელიქტური უთხოვრის, ნაძვის, სოჭის, ფიჭვის, მუხის, წიფლის, რცხილის და სხვა სახეობის ტყის მასივები. მოისპო ნიადაგის რეგენერაციისათვის საჭირო მიკროორგანიზმები და ბაქტერიები, მთლიანობაში დაირღვა ბიოგეოცენოზი. არსებითად დაირღვა საკურორტო ზონის უნიკალური სარეკრეაციო-მიკროკლიმატური რეჟიმი, რომელიც, პირველ რიგში, ვლინდება ჰავის ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობის სისწრაფე და სხვა) რეგულირებაში, ვინაიდან ტყე ჰავის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევის მიხედვით, 2008 წლის 7 აგვისტოდან ოქტომ-

ბრის ბოლომდე ჯავშანი გაუუქმდა 257 ჯგუფს 4648 ტურისტზე. სექტემბერში დაგეგმილი 50 ჯგუფიდან, რომელიც 789 ტურისტს შეადგენდა, ქვეყანას ესტუმრა 45 ტურისტი, რომელთაგან 17 საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. სტუმრები ძირითადად იყვნენ უკრაინიდან, ლატვიიდან, ლიტვიიდან, პოლონეთიდან, დუბაიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან.

კვლევამ ცხადყო, რომ ამ პერიოდში საქართველოში შემომყვანი ტუროპერატორების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ტურისტულ კომპანიებში კადრების შემცირების რისკის მაჩვენებელმა უკვე სექტემბერში 70% მიაღწია. თბილისში არსებული 12 სასტუმრო, რომელთაგან ცნობილი ბრენდები და დიდი სასტუმროები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობდნენ, დასვენების მიზნით ჩამომსვლელელმა გააუქმეს ჯავშნები, მაგრამ საქმიანი ვიზიტით ჩამომსვლელების რიცხვი გაიზარდა. საქმიანი ვიზიტით ჩამოსულთა რაოდენობამ შეადგინა 146 ტურისტი. მათგან უმრავლესობას წარმოადგენდნენ ჟურნალისტები.

ერთ-ერთ ქართულ ტურისტულ კომპანიას 15 აგვისტოდან 24 ოქტომბრამდე დაგეგმილი ჰქონდა ისრაელიდან 20 ტურისტული ჯგუფის მიღება. (თითოეულ ჯგუფში დაახლოებით 35-დან 40 ტურისტამდე, საიდანაც საშუალო მოგება სულზე შეადგენდა 100 \$. კომპანიის ზარალმა დაახლოებით 10000 \$ შეადგინა, შესაბამისად ზარალი განიცადა მათმა პარტნიორმა სასტუმროებმა, სატრანსპორტო კომპანიებმა, რესტორნებმა და მომსახურების სხვა ობიექტებმა.

აგვისტოში განვითარებული მოვლენების ფონზე, აჭარის რეგიონი უცხოელი ტურისტებისაგან მთლიანად დაიცალა (რამდენიმე დღეში აჭარა 150 000 ტურისტმა დატოვა), ბათუმის სანაპიროზე მდებარე საკლუბო გასართობი მომსახურების მხოლოდ ერთმა ბუნგალომ ტურისტებისათვის სეზონურად სასურველ 40 დღეზე გათვლილი მოგებით დაახლოებით 15 000\$ დაკარგა. ბათუმში ასეთი ბუნგალოების რაოდენობა იმ პერიოდისათვის 15 -დან 20-მდე იყო.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რა ზარალი განიცადა ქვეყნის ეკონომიკამ და განსაკუთრებით ტურიზმის დარგმა. საომარი მოქმედებების შედეგად, საქართველოში, ფაქტობრივად მოიშალა და განადგურდა ტურისტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი, ჩავარდა ტურისტული სეზონი, სერიოზული ზარალი განიცადა საბანკო და სადაზღვევო კომპანიებმა. ამ პერიოდში ეკონომიკის სხვადასხვა დარგმა დაკარგა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორები.

12-26 აგვისტოს ხანძრის დროს განსაკუთრებით დაზიანდა სოფელი დაბისა და წაღვერის მიმდებარე ტერიტორია - ერთ-ერთი საუკეთესო საკურორტო ადგილები. ასწელზე მეტია, ცნობილია ამ ადგილების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. 2008 წლის შემდეგ სოფელ დაბაში ეკოლოგიური მდგომარეობა შეიცვალა: 250 ჰექტარზე მიწა მთლიან დაიწვა, ხოლო 700 ჰექტარზე 70%-ით.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისო პანელის (IPCC) 2014 წლის მორიგ ანგარიშში გამოაქვეყნდა რეკომენდაციები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მავნე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო ღონისძიებებზე. ამ საკითხზე ერთ-ერთ ქმედითუნარიან ნაბიჯად ითვლება, აგრეთვე, „კიოტოს ოქმი“, რომელიც გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა. „კიოტოს ოქმი“ ქვეყნებისთვის სათბური აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ, თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებულ საზღვრებს ადგენს. ოქმის მიზანი არის ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის ისეთ დონეზე დაბალანსება, რომელიც

დედამიწის კლიმატისათვის არ იქნება საშიში. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ „კიოტოს ოქმის“ სრულიად შესრულების შემთხვევაშიც კი არ არის გარანტირებული, რომ ტემპერატურის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელებს.

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებული ყველა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის პრობლემებს. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნები ცდილობენ შეიმუშაონ სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთი საკუთარი სისტემა. ამასთან ერთად, მთელ მსოფლიოში, შემუშავებულია ბუნებრივი ანომალიური მოვლენების შესწავლისა და პროგნოზირების ერთიანი სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც კოორდინირებას გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნების დაცვის ინსტიტუტი.

ლიტერატურა

1. რაჯებაშვილი გ. „ტურიზმის განვითარება საქართველოში“, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თებერვალი, 2012
2. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება“. თბ. 2014
3. სამოხინი ა., ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები, კრასნოდარი 2009
4. მდინარე ვერე –საფრთხე მოსახლეობისთვის „ნეტგაზეთი“
5. მეტრეველი მ. „ტურიზმი და გარემოს დაცვა“ (ეკოტურიზმის საფუძვლები), გამომცემლობა შპს „ფორმა“, თბილისი. 2008
6. <http://knoema.ru/atlas/>, <http://delo.ua/world/krupnejshie-stihijnye-bedstvija-153887/> © delo.ua
7. <http://m.forbes.ru/article.php?id=239642>
http://ria.ru/trend/iceland_volcano_consequences_16042010/
http://ria.ru/trend/iceland_volcano_consequences_16042010/
http://eeas.europa.eu/delegations/.../New%20Microsoft%20Word%20Document_.pdf

NATURAL DISASTERS AND THEIR ECOLOGICAL AND ECONOMIC IMPACT ON INTERNATIONAL TOURISM

Berdzenishvili N., Leonadze N.

Summary: Environmental problems in recreational and recreation areas can threaten the personal safety, health and economic interests of the tourist. Atmospheric, water, intense pollution of the soil and excessive industry and transport is incompatible with rest and comfort. Pollutant substance produced by agricultural activity reduces the attractiveness of the landscape. In case of high contamination of permits, the use of landscape is unacceptable for recreational purposes. If the vegetation is well maintained in such areas, tourists have a superficial impression on full ecological safety, but the ecosystem surrounding urban areas contains high levels of dust, heavy metals, toxic gases. Water wells contain high probability of barium chloride, while plant roots may contain microelements. Ecological security has regional (as in the world) aspects, and its level of support is different in different countries. All political and economically developed countries in the modern world pay great attention to environmental problems. The world's highly developed countries are trying to develop their own system of struggle against natural disasters. In addition, the whole world has developed a unified strategic direction for the study and prediction of natural anomalous events that will coordinate the United Nations Institute for Nature Conservation.